KA020110803566318

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 06/2529 **28 / მარტი / 2018 წ.**

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 14-15 მაისს ქ. თბილისში დაგეგმილია საქართველო-უზბეკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომის გამართვა. აღნიშნულ კომისიას საქართველოს მხრიდან უხელმძღვანელებს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, ხოლო უზბეკეთის რესპუბლიკის მხრიდან პრემიერ-მინისტრის მოადგილე ალიშერ სულტანოვი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით 2017 წლის ოქტომბერში თქვენი უწყების მიერ მოწოდებული წინადადებების შესაბამისად მომზადებულ კომისიის მე-8 სხდომის ოქმის პროექტს და გთხოვთ, არაუგვიანეს 2018 წლის 3 აპრილისა, მოგვაწოდოთ დასკვნა აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში და ასევე, განახლებული ინფორმაცია კომისიის მე-7 სხდომის ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მდგომარეობის შესახებ, თანდართული ცხრილის შესაბამისად (რუსულ ენაზე).

ამასთანავე, კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით გთხოვთ, წარმოადგინოთ კომისიის წევრისა და ექსპერტის კანდიდატურები, მათი საკონტაქტო მონაცემებით (ტელეფონი, ელ-ფოსტა).

დანართი: მე-8 სხდომის ოქმის პროექტი - 11 ფურცელი;
მე-7 სხდომის ოქმის შესრულება - 10 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე